



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №

137

„ 2 „ მაისი

2014 წ.

ბ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ნ. ჭიჭილეიშვილის მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი და მე-2¹ პუნქტების შესაბამისად:

1. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ნანა ჭიჭილეიშვილი მივლინებულ იქნას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ნანა ჭიჭილეიშვილმა, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ნ. ჭიჭილეიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 29 ნოემბრის №1/202 და „თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლ. ლიპარტელიანის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოში მივლინების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 24 მარტის №1/33 გადაწყვეტილებები.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი